

„ჭამის“ აღმნიშვნელ ზმნათა განსხვავებული სემანტიკური მახასიათებლები

ომიაპე სალომე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
<https://doi.org/10.52340/idw.2025.35>

აბსტრაქტი. „ჭამის“ აღმნიშვნელ ქართულ ზმნათა ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მრავალფეროვანია ის დიფერენციალური სემანტიკური კომპონენტები, რომლებიც ამ ლექსემებზე დაკვირვებამ გამოავლინა. განსახილველ ზმნათა სიმრავლე განპირობებულია სხვადასხვა, უმთავრესად ექსტრალინგვისტური, ფაქტორით. მაგალითად, თვით „ჭამს“ ზმნის კოგნიტიური მნიშვნელობა რამდენიმე თანმიმდევრულ მოქმედებას გულისხმობს – საკვების პირში მოქცევას, დალეჭვასა და გადაყლაპვას, რომელთაგან თითოეულის სხვადასხვაგვარად გამსიტყვებელი არაერთი ლექსემა არსებობს.

სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ჭამის გამომხატველი ზმნებით, მოქმედებასთან ერთად, აღნიშნულია მიღებული საკვების ოდენობა (მცირე, დიდი), ფიზიკური თვისება (მყარი, თხიერი), გემოვნური მახასიათებელი (სიტკბო-სიგემრიელები), სასურველობა, საკვების მიღების დრო (ჯერის აღმნიშვნელი სახელებისგან ნაწარმოები ზმნები), ჭამის მანერა (სწრაფად, უშნოდ, ხმაურით, მალულად ჭამა), მთქმელის მოწიწებული თუ უპატივცემულო დამოკიდებულება მოქმედების სუბიექტისადმი (საკვების შეთავაზებასა და საკვების მიღებასთან დაკავშირებული ოფიციალურ კომუნიკაციაში ჩართული თავაზიანობის ზმნები და არაოფიციალურ დისკურსში გამოყენებული უპატივცემულობის გამომხატველი ზმნური ფორმები).

განსახილველ ჯგუფში რაოდენობით ყველას აღემატება ხარბად ჭამის აღმნიშვნელი ზმნები. სიხარბე, როგორც ზოგადადამიანური მანკიერი თვისება, ქართველთათვისაც მდებარე გრძნობებს განეკუთვნება. საკვების მიღებისას გამოვლენილი სიხარბე, გემოთმოყვარეობა, მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის არა მხოლოდ ცოდვაა, არამედ სხვა ცოდვათა სათავეც. ზედმეტი საკვების მიღების მავნეობასთან დაკავშირებულ ხალხურ ცოდნასთან ერთად, საკრალური მნიშვნელობაა ის, რამაც ქართულ დისკურსში „ნაყროვანების“ გამოხატვისას სემიოტიკური სიმჭიდროვე წარმოშვა და აღნიშნულ ზმნებს უარყოფითი კონოტაცია შესძინა.

საკვანძო სიტყვები: ქართული დისკურსი; დიფერენციალური სემანტიკური კომპონენტები; კოგნიტიური მნიშვნელობა; კონოტაცია.

„ჭამის“ აღმნიშვნელ ქართულ ზმნათა ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მრავალფეროვანია ის დიფერენციალური სემანტიკური კომპონენტები, რომლებიც ამ ლექსემებზე დაკვირვებამ გამოავლინა. განსახილველ ზმნათა სიმრავლე განპირობებულია სხვადასხვა, უმთავრესად ექსტრალინგვისტური, ფაქტორით. მაგალითად, თვით „ჭამს“ ზმნის კოგნიტიური მნიშვნელობა რამდენიმე თანმიმდევრულ მოქმედებას გულისხმობს – საკვების პირში მოქცევას, დალეჭვასა და გადაყლაპვას, რომელთაგან თითოეულის სხვადასხვაგვარად გამსიტყვებელი არაერთი ლექსემა არსებობს.

სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ჭამის გამომხატველი ზმნებით, მოქმედებასთან ერთად, აღნიშნულია მიღებული საკვების ოდენობა (მცირე, დიდი), ფიზიკური თვისება (მყარი, თხიერი), გემოვნური მახასიათებელი (სიტკბო-სიგემრიელი), სასურველობა, საკვების მიღების დრო (ჯერის აღმნიშვნელი სახელებისგან ნაწარმოები ზმნები), ჭამის მანერა (სწრაფად, უშნოდ, ხმაურით, მალულად ჭამა), მოქმედის მოწიწებული თუ უპატივცემულო დამოკიდებულება მოქმედების სუბიექტისადმი (საკვების შეთავაზებასა და საკვების მიღებასთან დაკავშირებული ოფიციალურ კომუნიკაციაში ჩართული თავაზიანობის ზმნები და არაოფიციალურ დისკურსში გამოყენებული უპატივცემულობის გამომხატველი ზმნური ფორმები) და სხვ.

ჭამის აღნიშვნისას ქართულ ენაში გამოვლენილი სემიოტიკური სიმჭიდროვე უნივერსალურ მოვლენად უნდა შეფასდეს, რადგან საკვების მიღებას, როგორც ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ერთ-ერთ მთავარ ქმედებას, კომუნიკაციური თვალსაზრისით მაღალი სიხშირული ინდექსი ენიჭება.

ჭამის პროცესის გამსიტყვებელი ლექსემები შემოგვინახა ჩვენამდე მოღწეულმა პირველივე ქართულმა ლიტერატურულმა ძეგლმა. „შუმანიკის წამებაში“ დადასტურებული ჭამის ველის ერთეულები, ერთ- თუ ორწევრა ლექსემები და სინტაგმები (პური (/ სერი), უზმა, პურის-ჭამაჲ, ჟამი პურისაჲ, პურად დასხდომა, საზრდელის მიღება, საჭმლის მიღება, ჭამადის მიღება, გემოდს ხილვა, პურისა გემოდ, წუნაკი მხლისა, წუნაკი შექმნული) – ზოგი უცვლელად, ზოგი კი გარკვეული ფორმოვარი-სემანტიკური ტრანსფორმაციით – ნაწარმოების შექმნის დროიდან იხმარებოდა და დღესაც იხმარება სალიტერატურო ქართულსა თუ მის დიალექტებში (ომიამე, 2020:96).

აღნიშნული რიგის ყველაზე გავრცელებული ერთეულია **ჭამა**, რომელიც ნეიტრალურია თავისი პირველადი, წმინდა კოგნიტიური მნიშვნელობით. რაც შეეხება **პურის ჭამას**, ეს ორკომპონენტიანი ლექსემა ხშირად გვხვდება ქართველ კლასიკოსთა ტექსტებში, სალიტერატურო ენაში ბოლო დრომდე მის გავრცელებულობას მოწმობს ქეგლის ძველი რედაქცია (ქეგლი, 1950-1964), რომლიდანაც დავიმოწმებთ რამდენიმე დეფინიციას: „საუზმე – 1. დილით, უზმოზე, პირველი ჯერის **პურის ჭამა**... 2. საერთოდ, მცირედ **პურის ჭამა**, დანაყრება სადილამდე ან ვახშამდე“; „ვახშამი – 1. უკანასკნელი ჯერის **პურის ჭამა** საღამო ჟამს“; „ქელები – ეთნ. მიცვალებულის მოსახსენებლად გამართული **პურის ჭამა**...“ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ, იმავე ლექსიკონის მიხედვით, **პურის ჭამასა** და **ჭამას** შორის იგივეობრივი მიმართებაა, რასაც ასევე ადასტურებს ცნობილი ანდაზის ვარიანტები: „ერთი კაცი **პურის ჭამაშიც** ბრალიაო“ // „მარტო კაცი **ჭამაშიაც** ბრალიაო“, პირველს თანამედროვე დისკურსში დიალექტური (და არა არქაული) ელფერი დაჰკრავს ისევე, როგორც **პური შიასა** და **შიას** შემთხვევაში, რაც შედარებით ახალი მოვლენაა.

ჩვენთვის საინტერესო ზმნათა ჯგუფში მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს დადებითი და უარყოფითი კონოტაციის მქონე ერთეულები. თავაზიანი მეტყველება დისკურსის ის სახეობაა, რომელიც შემადგენლებად ძირითადად დადებითი ემოციური ელფერის ლექსემებს გულისხმობს. ამ უკანასკნელთა შორისაა სიტყვაფორმები: **მიირთმევს, შეეძევა, გეახლები**, რომლებიც, მოქმედება „ჭამის“ აღნიშვნასთან ერთად, კრძალვასა და კეთილგანწყობას გამოხატავენ. საინტერესოა მათი ქეგლისმიერი შეფასებები. პირველის განმარტებაში დასტურდება კვალიფიკაცია „პატივისც.“, მეორეს მსგავსი კვალიფიკაცია არ ახლავს, თუმცა მის განმარტებაში ჩართულია პირველი: „**შეეძევა** ჭამს (სვამს); **მიირთმევს**“, **გეახლები** კი „მოკრძალების

გამომხატველ გამოთქმად“ არის სახელდებული. ქეგლი ასევე „პატივისც.“ კვალიფიკაციით წარმოგვიდგენს ფშაურ დიალექტურ ფორმას **იამებს**, რომლის მნიშვნელობაა შეჭამს, მიირთმევს: „მგელავ! მოდი, აგრემც გენაცვლები, დაჯე, **პური იამე**“ – უთხრა ლელამ“ (ვაჟა). აქვე უნდა დავასახელოთ იმავე ძირის დალოცვა **„გაამოს!“**, რომლის შესახებაც ქეგლში ნათქვამია: „ეტყვიან აბანოში ნამყოფს ან ღვინის დროს – ღვინის მსმელს“ (ქეგლი, 2010:54). თანამედროვე დისკურსის გათვალისწინებით, ნათქვამი დაზუსტებას მოითხოვს – გაამოსო, დღეს არა მხოლოდ ღვინის, არამედ ნებისმიერი რამის მსმელსა თუ მჭამელს ეუბნებიან.

აკაკი შანიძე როდესაც ზმნების ერთ-ერთ თავისებურებას – შენაცვლებას – აღწერს, თავაზიანობით შეპირობებულ პირში შენაცვლების მაგალითად **ჭამა** ზმნასაც განიხილავს: „ჭამა ზმნას „მიირთმევა“ ენაცვლება სათავისო ქცევის ფორმით: 1. ვჭამე, 2. მიირთვი, 3. ჭამა (მიირთვა). მიირთვი! პირველი პირის ფორმა („მივირთვი“) რომ ვინმეს წამოსცდეს, ღიმილს გამოიწვევს მსმენელში“ (შანიძე, 1973:520).

მეცნიერი უფრო ფართოდ მსჯელობს ჭამა ზმნის შენაცვლების მეორე შემთხვევაზე: „ვჭამეს“ მნიშვნელობით მორიდებულ ლაპარაკში აგრეთვე „გიახელ(ი) იხმარება. მას მარტო პირველი სუბ. პირის ფორმა აქვს (შეიძლება მრავლობითშიც: გიახელით), სხვა პირის ფორმები არ იხმარება. ეს ფორმა სამ-პირიანია წარმოშობით, მაგრამ მეორე პირის გაგება მიღებულია და ორ-პირიანად არის ქცეული: „უკვე გიახელი სადილი“. „გიახელი (თ)“ ამას ნიშნავს: ვახლე მე (პირი) შენსას ან თქვენსას (ე. ი. შენს საჭმელს ან თქვენს საჭმელს), შემდეგ საზოგადოდ საჭმელს“ (იქვე)¹⁰.

ჭამის აღმნიშვნელ ზმნებში გამოიყოფა ისეთი ქვეჯგუფი, რომლის შემადგენელთა დადებით კონოტაციას არა საკომუნიკაციო რეგისტრი, არამედ საკვების სიტკბო-სიგემრიელე და სასურველობა განსაზღვრავს: ყელს/პირს **[ჩა-]იკოკლოზინებს**, **[ჩა-]იტკბარუნებს**, **[ჩა-]იგემრიელებს**. ასეთივე ელფერის ძველი სიტყვაა **ინუკავს** (შდრ. სანუკვარი), რომლის მნიშვნელობაა – შეჭამს იმას, რაც უნდა და რაც უყვარს. სანუკვარისა და გემრიელის შეჭმისას რაჭაში იტყვიან, **„გული გავინედლე“**: „ისე გემბრიელად გიახელი ე კურდღლი ხორცი, გული გავინედლე“ (კობახიძე, 1987:29).

იმ ზმნათა სემანტიკური სტრუქტურა, რომელთა დომინანტური მნიშვნელობა ჭამაა, ხშირად ორზე მეტ კომპონენტს შეიცავს, რაც ართულებს მათ კლასიფიკაციას. მაგალითად, გემრიელი რამის ჭამაა **სუსნაც** (შდრ. სასუსნავი და ყოფით დისკურსში მისი ანალოგიით ახალგაჩენილი „გემრიელობები“), მაგრამ **სუსნის** ზმნა სხვა ქვეჯგუფშიც უნდა გაერთიანდეს, რომლის წევრთა დიფერენციალური სემანტიკური კომპონენტია **მორიდებულად / ცოტას ჭამა. სუსნის, ისუსნება** ფორმებით გამოხატული შინაარსი სრულად რომ აღვწეროთ, ერთი სემანტიკური ნიუანსი უნდა დავამატოთ, ეს არის **მალულად, ჩუმ-ჩუმად ჭამა**. კიდევ უფრო რთული სემანტიკური სტრუქტურა აქვს **დასუსნაობს** ფორმას, რომელიც ქეგლში შემდეგნაირად არის

¹⁰ აკ. შანიძე აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ორ საკითხს განიხილავს – „გეახელ“ (= მოვედი) და „გიახელ“ (= ვჭამე) ფორმების აღრევასა და წყვეტილის „გიახელი“ ფორმასთან შეწყობილი ობიექტის ბრუნვის ფორმის განსაზღვრას („გიახელი სადილი“ თუ „გიახელი სადილს“). პირველს შ. აფრიდონიძე ახსენებს, თუმცა თავაზიანობის ფორმულათა განსხვავებულ წყვილებში განუსხვავებელ ფორმებს გვთავაზობს: „მოსვლა: **მობრძანდით – გეახელით, (გეახლებით)**; ჭამა-სმა: **მიირთვით – გეახელით, (გეახლებით)**“ (აფრიდონიძე, 2009:12). ე და ი ხმოვნების უმართებულო მონაცვლეობას (და არა ამ გზით მნიშვნელობათა დიფერენცირებას) ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონებიც გვიდასტურებს: „ეახლებ-ა (ეახლა, ხლებია) (და არა: იახლება) გრდუჲ. ვნებ. აახლებს ზმნისა“ (ქეგლი) „[გეახლება; გეახლა კი არა] გეახლება; გეახლა“ (თოფურია, გიგინეიშვილი, 1998:189).

განმარტებული: „ცოტ-ცოტას ჭამს მალულად (ნუგზარ, გემრიელ საკვებს), – სასუსნავს დაემებს“.

მარტო, მით უფრო, მალულად ჭამა ქართული ლინგვოკულტურის წევრთათვის მიუღებელია, რისი საუკეთესო მაგალითიც ქართულ დიალექტში დადასტურებული უარყოფითი კონოტაციის მქონე **მარტოტუჩაობა**: „მე ვიცნობ იმისთანა ქალსა, მარტოტუჩაობა რო იცოდა, გამოვიდოდა ოთახიდანა პირის ცმაცუნითა“; „მიხურავს კარეფსა და მარტოტუჩაოფს, არც ქმარი ანაღვლია და არც შვილები“ (მეგ.) (ბეროზაშვილი და სხვ., 1981:275). აქვე უნდა დავასახელოთ ძველქართული თხზული სახელი **ჭამისმმალველი** და ქართული დიალექტური სიტყვა **ჭამაფიცილა** (ვინც ჭამს და არ ამხელს; ფიცილით ირწმუნება, არ მიჭამიაო).

განსახილველი ჯგუფის ყველაზე დიდ ქვეჯგუფს **ხარბად ჭამის** აღმნიშვნელი ზმნები ქმნიან. სიხარბე, როგორც ზოგადადამიანური მანკიერი თვისება, ქართველთათვისაც მდაბალ გრძნობებს განეკუთვნება. საკვების მიღებისას გამოვლენილი სიხარბე, გემოთმოყვარეობა, მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის არა მხოლოდ ცოდვაა, არამედ სხვა ცოდვათა სათავეც. ზედმეტი საკვების მიღების მაგნიტობასთან დაკავშირებულ ხალხურ ცოდნასთან ერთად, საკრალური მნიშვნელობაა ის, რამაც ქართულ დისკურსში „ნაყროვანების“ გამოხატვისას სემიოტიკური სიმჭიდროვე წარმოშვა და აღნიშნულ ზმნებს უარყოფითი კონოტაცია შესძინა (ომიაძე, 2019:21).

მოქმედების სუბიექტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება სხვადასხვა ინტენსივობით არის გამოხატული ხარბად ჭამის სახელმძღვანელო შემდეგ ზმნურ ფორმებში: (მო-)**ტორავს**; **იტორება**, (შე-)**იტვლიავებს**, **ჩაბრაზავს**, (გა-/გამო-)**იძენძება** // (გა-/გამო-)**იზენზება**, (გა-/გამო-)**იტკვლიცება**, (გა-/გამო-)**იბესტება**, **ფეშავს**, **მოსუნთქავს** (ქართლ.); **ისუნთქავს** (ქიზიყ.); **ისიკნება** (გარეკახ.); **შადლანგავს**, **შაჩხამავს** (მოხ.); (და-/შთა-/ჩა-)ნთქავს, (მუცელში) (ჩა)იდგამს, (ჩა-)ილაგებს, (ჩა-)იყრის, **ჩაუძახებს** ... (მუცელს /კუჭს) (ამო-)იყორავს, (ჩა-/გა-/გამო-)სკდება, (ჩა-/გა-/გამო-)ტყვრება, (ჩა-)ცეცხლავს. სიხარბე, მიღებული საკვების დიდ რაოდენობასთან ერთად, ლუკმების სიდიდესაც გულისხმობს: **ღმურძლავს**, **ღმურძლის**, **იღმურძლებს**; **იბეყვება** (ქართლ.); **იყბორება**, **იყმინდება** (გარეკახ.); **ბლაყნის**, **იბლაყნება** (რაჭ.); **შმორავს** (ფშ.). სწრაფად, უშნოდ, ხმაურით ჭამაა აღნიშნული შემდეგი ერთეულებით: (შე-/გადა-)სანსლავს; (შე-/გადა-)ხანხლავს (იმერ., გურ.); **ხეპავს**, **იხმუზნება** (ქართლ.); (შე-/გადა-)თანთქლავს (გარეკახ., ქართლ., რაჭ.); **სლანგავს** (ქართლ.); (შე-)თქვლეფს, (ა-/ამო-/შე-)სვლეფს, (და-/შე-/ამო-)ხვრეფს; (და-/შე-/ამო-)თხვლეფს, (შე-)ქლაქნის (რაჭ.); **ხვრეტს** (თუშ.); **დღლურძავს** (გარეკახ.); **ილოღნება**, **ლიჯნის**, **ათქლაფუნებს**, **ათქლაშუნებს** (გარეკახ.); **აღლაჭუნებს**, **აჭლაპუნებს**, **აჭაპუნებს** (ქართლ., კახ.); **ატვაპუნებს** (თუშ.), **აგნაზუნებს** (ქართლ.) და სხვ.

გვხვდება ზმნები, რომლებიც მაგარი საკვების ჭამისას გამოცემულ ხმიანობას გამოხატავენ, თუმცა უარყოფითი ელფერი არა აქვთ. დავიმოწმებთ ზოგიერთს: (თხილს) **აკნატუნებს**, (მზესუმზირას) **აკნაწუნებს**, (ვაშლს) **ახრაშუნებს**, (სტაფილოს) **ახრამუნებს** და მისთ.

ცოტას ჭამა შედარებით ნაკლები აღსანიშნითაა წარმოდგენილი, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში გვხვდება შემდეგი კომპონენტები: **მორიდებულად** / **უმაღოდ** / **უხალისოდ** / **პატარა ლუკმებით** ჭამა. **ციცქნა**, **წიწქნა**, **კიკნა**, **კირკნა**, **კუკნა**, **კოკნა** და მსგავს ზმნათა პირიანი თუ მიმღეობური ფორმები დადასტურებულია როგორც სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, ასევე მეგრულსა და სვანურში (იხ. გერსამია და სხვ., 2016).

ცალკე უნდა გამოვყოთ ორი ნასახელარი ზმნა, რომელთა ფუძედ გამოყენებული სახელის მნიშვნელობაა სიმცირესთან დაკავშირებული:

წაიხემსებს – წაისაუზმებს, შენაყრდება. „[არსაკიმე] ზეზეურად წაიხემსებდა, კვლავ სამუშაოს მიუჯდებოდა“ (კ. გამს.) (ქეგლი).

დასახელებული ზმნის ფუძეში შემავალი **„ხემსი“** ქეგლში განმარტებულია როგორც „მცირე რამ საჭმელი, ორიოდ ლუკმა“, ძველ ქართულში თითქმის იმავე მნიშვნელობისაა „ხევის“, დავიმოწმებთ ი. აბულაძის დეფინიციასა და საილუსტრაციო კონტექსტს: **„ხევის-ი** მსუბუქი საჭმელი, პიურე, ფაფა: „გვბრძანე ... რაღათა ვქმნეთ ხ ე ვ ს ი მცირედ და ვჭამოთ შენ თანა“ ლიმ. 88, 21“ (აბულაძე, 1973:561). **„ხემს“-**ფუძიან პირიან ფორმებში (წავიხემსებ(თ), წაიხემსებ(თ), წაიხემსებ-ს/ენ ...) სიმცირე ორმაგადაა გამოხატული – ფუძედ გამოყენებული სახელითა და **წა-**ზმნისწინით. ეს ზმნა მხოლოდ წა-ზმნისწინიანია, წა- ზმნისწინი ცოტას, სახელდახელოდ ჭამას აღნიშნავს შემდეგ ზმნებშიც: **წაიჭამს / წაჭამს, წაისაუზმებს, წაივახშმებს.**

შენაყრდება – ცოტაოდენს შეჭამს. „როცა სიცხე შეაწუხებდათ [მგზავრებს], მაშინ ცოტათი შეისვენებდნენ, შენაყრდებოდნენ“ (შ. არაგვ.) (ქეგლი).

ნაყრი, ქეგლის მიხედვით, „მცირეოდენი საჭმელია“, რაც შეეხება ძველ ქართულს, ტექსტებში იგი ცალკე აღებული არ გვხვდება, ამდენად, არ გვხვდება იგი არც ლექსიკონებში, სხვა მნიშვნელობათა წარმომქმნელად კი დასტურდება შემდეგ სიტყვებში: **ნაყრმცირეა** (ცოტას მჭამელი), **ნაყროვა** (ზედმეტის ჭამა; პირიანი ფორმა: „ჰნაყროვოდი ვითარცა დათვ“), **ნაყროვანი / ნაყროანი** (მსუყე; ღორმუცელა), **ნაყროვანებაა / ნაყროვანებაა / ნაყროვნობაა** (გაუმაძღრობა, ღორმუცელობა). სწორედ დასახელებული ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ **ნაყრი „საჭმელია“** და არა „მცირეოდენი საჭმელი“.

ნეიტრალურ ლექსემათა შორის უნდა დავასახელოთ ჯერის აღმნიშვნელი სახელებისგან ნაწარმოები ზმნები: **საუზმობს, სადილობს, სამხრობს, ვახშმობს.** დამოუკიდებელ ქვეჯგუფს ქმნის მართლმადიდებლური ცხოვრების წესთან დაკავშირებული კვებითი კულტურის გამსიტყვებელი მარტივი თუ ორწევრა ზმნური ერთეულები: **მარხულობს, მარხვას ინახავს, მარხვას გატეხს, მარხვას ჭამს** (‘არ ინახავს მარხვას’, შდრ. ანდაზა: „მარხვა ვჭამე დოსთვისაო, ქურდობა ვქენ ხბოსთვისაო“), **[გა-]იხსნილებს, ხსნილს იყენებს.** განსახილველ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ემოციურად შეფერილი ისეთი ზმნებიც, როგორიცაა **ქეიფობს, ნადიმობს, პურობს, ღრეობს** და მისთ., რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში დომინანტური კომპონენტი მოლხენაა, თუმცა, სმასთან ერთად, ჭამაც მონაწილეობს. ჭამის აღმნიშვნელი არაერთი ზმნაა, რომელთა გამორჩეული მოტივირება დამოუკიდებელ მსჯელობას მოითხოვს (მაგ., **კლერტავს** – ყურძენს მარცვლებს აცლის, კლერტამდე დაჰყავს) და სხვ. და სხვ.

რეგლამენტირებული ფორმატის ფარგლებში მიმოხილული ზმნები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მდიდარი ლექსიკისა, რომელიც საკვების მიღების ენობრივი ობიექტივაციით არის შექმნილი. ონომასიოლოგიური მიდგომით გამოვლენილი სრული მასალის ორგანიზებას, მის სემანტიკურ აღწერა-ინტერპრეტაციას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქართული ლინგვოკულტურული ერთობის წევრთა მსოფლადქმის ენობრივი სტრუქტურირებისა და ქართული ენის, როგორც სახელმძღვანელო სისტემის, თავისებურებათა გამოვლენაში.

ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი: მეცნიერება.
- აფრიდონიძე, შ. (2009). ჩვენი ენა ქართული, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ. (1981). ქართული დიალექტის ლექსიკონი, მასალები, თბილისი: მეცნიერება.
- გერსამია რ., კიკვიძე, ზ., ლომია მ., მამისეიშვილი ნ., საღლიანი მ. (2016). ფონოემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბილისი.
- თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ. (1998). ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შვესებული გამოცემა, თბილისი: განათლება.
- კობახიძე, ა. (1987). რაჭული დიალექტის ლექსიკონი, მასალები, თბილისი: მეცნიერება.
- მენთეშაშვილი, ს. (1943). ქართველურ ენათა ლექსიკა, II, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ომიაძე, ს. (2019). „ნაყროვანების“ ენობრივი ობიექტივაციისათვის ქართულ დისკურსში, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 78-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 20-22, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ომიაძე, ს. (2020). „შუმანიკის წამებაში“ დადასტურებულ ჭამის ველის ერთეულთა ფორმოზრივ-სემანტიკური ტრანსფორმაცია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის (მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი) თეზისები, 95-97 თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ქეგლი (1950-1964). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ქეგლი (2010). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. II, თბილისი: მერიდიანი.
- შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1984). მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი, ტ. I, 274-476, თბილისი: მეცნიერება.

Different Semantic Features of Verbs Denoting „Eating“

Omiadze Salome

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

The group of Georgian verbs denoting „eating“ is quite abundant. There is also a wide variety of differential semantic components revealed through the observation of these lexemes. The abundance of verbs under discussion is determined by various factors, primarily, extralinguistic ones. For example, the cognitive meaning of the verb „to eat“ (*ჭამს*) implies a sequence of several actions placing food into the mouth, chewing, and swallowing. Each of these can be expressed by a number of different lexemes.

In literary Georgian and dialects, verbs expressing the act of eating not only denote the action itself but also convey additional nuances: the amount of food consumed (small, large); physical properties of the food (solid, liquid); taste characteristics (sweetness, deliciousness); desirability of the food; time of consumption (verbs derived from nouns denoting specific mealtimes); manner of eating (eating quickly, messily, noisily, or secretly); the speaker's respectful or disrespectful attitude toward the subject of the action, including: polite verbs used in formal communication related to offering or receiving food, derogatory verb forms used in informal discourse.

Within the group under discussion, verbs denoting gluttonous eating outnumber all others. Greed, as a universally recognized vice, is also regarded by Georgians as an evil and

undesirable trait. In the context of food consumption, gluttony and gourmandizing are considered by Orthodox Christians not only as sins, but also as the root of other sins. Alongside folk knowledge about the harm of overeating, there is religious significance of overeating that has generated *semiotic density* in the Georgian discourse surrounding the expression of „gluttony“, giving these verbs a distinctly negative connotation.

Key words: *Georgian discourse; differential semantic components; cognitive meaning; connotation.*